

**შეთანხმება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებული ლარის 30 წლისთავის
თემაზე საკოლექციო დანიშნულების მონეტების შპს „თინეთის“ ვებგვერდის - TKT.GE-ს
საშუალებით შეძენის წესებისა და პირობების თაობაზე**

შეთანხმების სავალდებულო ხასიათის გათვალისწინებით, გთხოვთ, გაეცნოთ დაკვირვებით

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

- ეს შეთანხმება წარმოადგენს თქვენსა და საქართველოს ეროვნულ ბანკს (შემდგომში - ეროვნული ბანკი) შორის დადებულ სავალდებულო ძალის მქონე შეთანხმებას და მოიცავს იმ წესებსა და პირობებს, რომლითაც ეროვნული ბანკი ახორციელებს მის მიერ გამოშვებული ლარის 30 წლისთავის თემაზე საკოლექციო დანიშნულების მონეტების (შემდგომში - მონეტა) რეალიზაციას შუამავალი კომპანიის - შპს „თინეთის“ ვებგვერდის - www.tkt.ge-ს (შემდგომში - ვებგვერდი) მეშვეობით.
- ამ შეთანხმების მიზნებისთვის მომხმარებელი არის ფიზიკური პირი, რომელიც დაინტერესებულია ეროვნული ბანკის მონეტის შეძენით, ამ მიზნით ახორციელებს შესაბამის მოქმედებებს ვებგვერდზე და რომლის საიდენტიფიკაციო მონაცემები ფიქსირდება შეკვეთის განთავსებისას ვებგვერდზე სავალდებულოდ შესავსებ ველებში.
- ვებგვერდზე მონეტის შეძენისათვის აუცილებელია მომხმარებელი გაეცნოს ამ შეთანხმებას და გამოხატოს თანხმობა მის პირობებზე.
- ღილაკზე – „შეთანხმები“ დაჭერით მომხმარებელი ადასტურებს თანხმობას ამ შეთანხმებით გათვალისწინებულ პირობებზე, რომლის საფუძველზე, მომხმარებელი ვალდებულია, სრულად გადაიხადოს ვებგვერდზე მითითებული გადასახდელი თანხა და მიიღოს შეძენილი მონეტა, ხოლო ეროვნული ბანკი ვალდებულია, საკუთრებაში გადასცეს შეძენილი მონეტა მომხმარებელს.
- მოცემულ შეთანხმებაზე თანხმობის გამოცხადებით, მომხმარებელი ადასტურებს, რომ იგი არის 18 წელს მიღწეული ქმედუნარიანი ფიზიკური პირი და მის მიერ მონეტის შეძენისას მითითებული ინფორმაცია არის უტყუარი, ზუსტი და სრული.
- ეროვნული ბანკის მიერ მონეტის გამოშვებასთან დაკავშირებით მის ოფიციალურ და ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმის ვებგვერდებზე განთავსებული ნებისმიერი განცხადება ითვლება ამ შეთანხმების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 2. მონეტის შეძენა

- მონეტის შეძენას მომხმარებელი ახორციელებს ვებგვერდზე არსებული წესებისა და პირობების მიხედვით, შეძენის პროცესში ეროვნული ბანკის ჩართულობისა და მონაწილეობის გარეშე.
- მომხმარებელი შესაბამისი წესებისა და პირობების თანახმად ვებგვერდზე ახდენს ანგარიშსწორებას. ვებგვერდზე მომხმარებლის მიერ გადასახდელი თანხა მოიცავს:
 - ა) შეძენილი მონეტის სარეალიზაციო ფასს, მისი მიწოდების ღირებულებას (თბილისი - 7 ლარი, სხვა ქალაქები - 20 ლარი) და დაზღვევის თანხას (სარეალიზაციო ფასის 0.4%);
 - ბ) ვებგვერდის მომსახურების საკომისიოს ვებგვერდზე მითითებული ოდენობით.
- ეროვნული ბანკი მონეტების რეალიზაციისას აწესებს რაოდენობრივ შეზღუდვას და უშვებს თითოეული მომხმარებლის მიერ არაუმეტეს 1 ცალი ოქროს, 2 ცალი ვერცხლის და 5 ცალი სპილენძ-ნიკელის მონეტის შეძენას. თუ ერთი მომხმარებლის მიერ განხორციელდება მონეტის დადგენილ ოდენობაზე მეტი ერთეულის შეკვეთა, გაუქმდება ყოველი მომდევნო შეკვეთა მომხმარებლისთვის დამატებითი შეტყობინების გაგზავნის გარეშე. ამ მიზეზით შეკვეთის გაუქმების შემთხვევაში,

მომხმარებელს დაუბრუნდება მხოლოდ მის მიერ გადახდილი უშუალოდ მონეტის, მიწოდებისა და დაზღვევის საფასური. ვებგვერდის მომსახურების საკომისიო თანხა დაბრუნებას არ ექვემდებარება.

მუხლი 3. მონეტების მიწოდების პირობები

1. ეროვნული ბანკი რეალიზებული მონეტების შესახებ ვებგვერდიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე უზრუნველყოფს მომხმარებლის მიერ შეძენილი მონეტის დაზღვევასა და მიწოდებას.
2. სავალდებულოა ვებგვერდზე მოთხოვნილი ინფორმაცია მომხმარებლის მიერ შეივსოს სრულყოფილად. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც შპს „თინეტი“, ისე ეროვნული ბანკი იხსნის პასუხისმგებლობას შეძენილი მონეტების ადრესატისთვის მიწოდებაზე.
3. თუ მომხმარებლის მიერ ვებგვერდზე მითითებული მიწოდებასთან დაკავშირებული ინფორმაცია (ქალაქი, მისამართი, საკონტაქტო ნომერი, ელექტრონული ფოსტა) არასრული ან არასწორია და ვერ მოხერხდება მისი დაზუსტება შეკვეთის გადამზიდავ კომპანიაზე გადაცემამდე, გაუქმდება შეკვეთა მომხმარებლისთვის შეტყობინების გარეშე (თუ შეტყობინება შეუძლებელი იქნება არსებული ინფორმაციის საფუძველზე). ამ მიზეზით შეკვეთის გაუქმების შემთხვევაში, მომხმარებელს დაუბრუნდება მხოლოდ მის მიერ გადახდილი უშუალოდ მონეტის, მიწოდებისა და დაზღვევის თანხა. ვებგვერდის მომსახურების საკომისიო თანხა დაბრუნებას არ ექვემდებარება.
4. ეროვნული ბანკი იტოვებს უფლებას, უარი განაცხადოს შემოსული შეკვეთების შესრულებაზე მომხმარებლისათვის ყოველგვარი ახსნა-განმარტების მიცემის გარეშე. შეკვეთის გაუქმების თაობაზე მოხდება მომხმარებლის ინფორმირება.
5. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ შეარჩიოს მონეტების გადამზიდავი კომპანია და შეფუთვის ფორმა.
6. მონეტების მიწოდება ხორციელდება საქართველოს მასშტაბით, შეკვეთის განთავსებიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში. გაზრდილი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში შეკვეთის მიწოდების ვადა შესაძლოა გაიზარდოს, რის შესახებაც ინფორმაცია განთავსდება ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმის ვებგვერდზე.
7. შეკვეთის განთავსების შემდგომ, გადამზიდავი კომპანია წინასწარ უკავშირდება მომხმარებელს შეკვეთაში მითითებულ საკონტაქტო ნომერზე და აცნობებს მონეტის მიწოდების კონკრეტულ დროს, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ამ შეთანხმებით დადგენილ ვადებს. ამ მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, მონეტის მიწოდება ხორციელდება მხოლოდ მომხმარებლის მიერ ვებგვერდზე მონეტის შეკვეთისას მითითებულ მისამართზე.
8. თუ გადამზიდავი კომპანიის მიერ შეუძლებელია მონეტის დროულად მიწოდება, იგი აღნიშნული ფაქტის შესახებ აცნობებს ეროვნულ ბანკსა და მომხმარებელს.
9. გადამზიდავი კომპანია მონეტას დალუქული ფორმით აბარებს მომხმარებელს, ხოლო მომხმარებლის მისამართზე არყოფნის შემთხვევაში, მონეტის ჩაბარება შესაძლებელია, გადამზიდავი კომპანიის წარმომადგენლის მიერ მომხმარებელთან სატელეფონო კომუნიკაციისა და შეთანხმების საფუძველზე, იმავე მისამართზე მყოფი სხვა პირისათვის (შემდგომში ერთობლივად - მიმღები პირი).
10. მიმღებმა პირმა, გადამზიდავი კომპანიისგან მონეტის მისაღებად, თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მონეტა არ გაიცემა და შეკვეთა გაუქმდება.
11. მიმღები პირი, გადამზიდავი კომპანიის წარმომადგენლის თანდასწრებით, ახორციელებს დალუქული გზავნილის გახსნას, მონეტის ვიზუალურ დათვალიერებას, კაფსულის გახსნის/დაზიანების გარეშე.

12. თუ მიმღები პირი გადამზიდავი კომპანიის წარმომადგენლისგან მონეტას ჩაიბარებს ვიზუალური დათვალიერების გარეშე და გადაცემის მომენტში პრეტენზიას არ გამოთქვამს მონეტის დაზიანების შესახებ, მაშინ ითვლება, რომ მიმღებმა პირმა მონეტა მიიღო უნაკლოდ, შეთანხმებული პირობებით.

13. მიმღები პირის მიერ ელექტრონული ხელმოწერის დაფაზე, მონეტის ჩაბარების ხელმოწერით დადასტურების შემდეგ, მომხმარებელზე გადადის მონეტის ან/და მისი შეფუთვის შემთხვევითი განადგურების ან დაზიანების რისკი და მასთან დაკავშირებით პრეტენზიები აღარ მიიღება.

14. მიმღები პირის მიერ მონეტის ჩაბარების შემდგომ, ეროვნული ბანკი არ არის პასუხისმგებელი იმ ზიანისთვის, რაც შესაძლოა გამოწვეული ან დაკავშირებული იყოს მონეტის ბუნებრივ და თვისობრივად მახასიათებელ ცვლასთან, ფერის შეცვლასთან, მომხმარებლის მიერ არასწორი მოპყრობით გამოწვეულ დაზიანებასთან.

15. თუ მიმღები პირი არ მიიღებს მონეტას, იგი ვალდებულია, მონეტის მიუღებლობის მიზეზი აღნიშნოს ელექტრონული ხელმოწერის დაფაზე, რაც უნდა დაადასტუროს ხელმოწერით.

16. ეროვნული ბანკი არ განიხილავს მიმღები პირის მიერ მონეტის დიზაინისა და სხვა მახასიათებლების შესახებ არაზუსტი წარმოდგენის მიზეზით გამოთქმულ პრეტენზიებს.

17. მიმღები პირის მიერ მონეტის გარეგნული დაზიანების გამო მიუღებლობის შემთხვევაში, ეროვნული ბანკი თავად შეამოწმებს დაბრუნებულ მონეტას, რის შესახებაც შედეგა დასკვნა, ხოლო შესაბამისი გადაწყვეტილების შესახებ მომხმარებლის ინფორმირება ხორციელდება მონეტის დაბრუნებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

18. იმ შემთხვევაში, თუ:

ა) ეროვნული ბანკი დაადასტურებს დაბრუნებული მონეტის ხარვეზს, მარაგში იმავე დასახელების მონეტის არსებობის შემთხვევაში უზრუნველყოფს მომხმარებლისთვის მის მიწოდებას. ასეთ შემთხვევაში, მომხმარებელს არ დაეკისრება განმეორებით მიწოდებასა და დაზღვევასთან დაკავშირებული ხარჯები;

ბ) ეროვნული ბანკი დაადასტურებს დაბრუნებული მონეტის ხარვეზს, თუმცა იმავე დასახელების მონეტის მარაგი ამოწურული იქნება, მომხმარებლის მიერ გადახდილი თანხა, სრულად დაუბრუნდება მომხმარებელს;

გ) ეროვნული ბანკი არ დაადასტურებს დაბრუნებული მონეტის ხარვეზს, მიმღებ პირს შესაძლებლობა ექნება, იგივე მონეტა გაიტანოს ეროვნული ბანკის საკასო ცენტრიდან გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის მიწოდებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. თუ მიმღები პირის მიერ მონეტის ეროვნული ბანკის საკასო ცენტრიდან გატანა არ მოხდა ამ ვადაში, შეკვეთა გაუქმდება და მომხმარებელს დაუბრუნდება მხოლოდ მონეტის ღირებულება.

19. თუ, მომხმარებლის მიზეზით, დადგენილ ვადებში ვერ ხერხდება მონეტის ჩაბარება, კერძოდ, ვერ ხერხდება მომხმარებელთან დაკავშირება, მომხმარებლის მიერ შეკვეთისას არასწორი რეკვიზიტების, მისამართისა და საკონტაქტო ინფორმაციის მითითების, დასახელებულ მისამართზე არყოფნის, გადამზიდავი კომპანიისა და ეროვნული ბანკის შეტყობინებებზე უპასუხოდ დატოვების ან/და სხვა გარემოებათა გამო, შეკვეთა გაუქმდება და მომხმარებელს დაუბრუნდება მხოლოდ მონეტის ღირებულება.

20. ამ შეთანხმებით განსაზღვრულ შემთხვევებში, როდესაც შეკვეთის გაუქმება ხდება მომხმარებლის მიზეზით, შეკვეთის გაუქმებასთან და ასევე თანხის უკან დაბრუნებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი ეკისრება მომხმარებელს. ასეთ შემთხვევაში, თანხის დაბრუნება მოხდება იმავე საგადახდო ბარათზე, საიდანაც განხორციელდა ვებგვერდზე თანხის გადახდა.

21. თუ გადამზიდავი კომპანიის მიერ მონეტის ადგილზე მიწოდება არ განხორციელდა დადგენილ ვადაში, მომხმარებელი ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს აღნიშნულის თაობაზე ეროვნულ ბანკს. ამასთან, მომხმარებელი უფლებამოსილია, მონეტის მიწოდების დაგვიანების შემთხვევაში, მოითხოვოს არსებული შეკვეთის გაუქმება და გადახდილი თანხის უკან დაბრუნება. ამ

შემთხვევაში მომხმარებელს სრულად დაუბრუნდება თანხა იმავე საბარათე ანგარიშზე ჩარიცხვით, საიდანაც განხორციელდა ვებგვერდზე თანხის გადახდა.

მუხლი 4. მხარეთა ვალდებულებები

1. ამ შეთანხმების შესაბამისად ეროვნული ბანკი ვალდებულია:

- ა) გადასცეს მომხმარებელს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო მონეტა;
- ბ) გადასცეს მომხმარებელს მონეტის თანმდევი ყველა საბუთი;
- გ) მისი მიზეზით შეთანხმების პირობების დარღვევის შემთხვევაში, უზრუნველყოს მომხმარებლისათვის თანხის დაბრუნება;
- დ) დაიცვას მომხმარებლის პერსონალური მონაცემები კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ამ შეთანხმების შესაბამისად მომხმარებელი ვალდებულია:

- ა) სრულად და სწორად შეავსოს ვებგვერდზე განთავსებული ველები. არასწორი მონაცემების მითითებით გამოწვეულ შედეგებზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება თავად მომხმარებელს;
- ბ) შეკვეთილი მონეტის მისაღებად წარმოდგინოს ვალიდური საიდენტიფიკაციო დოკუმენტები. ყალბი დოკუმენტების წარმოდგენით გამოწვეულ შედეგებზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება თავად მომხმარებელს;
- გ) ეროვნული ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, მიაწოდოს მას ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია ან/და დოკუმენტები, რომლებიც აუცილებელია ამ შეთანხმებით განსაზღვრული პირობების ჯეროვნად შესრულებისთვის;
- დ) არ განახორციელოს ისეთი ქმედება რაც ზიანს მიაყენებს ვებგვერდს ან მასთან დაკავშირებულ მესამე მხარეს;
- ე) ამ შეთანხმებით გათვალისწინებულ საკითხებზე ეროვნულ ბანკთან დასაკავშირებლად გამოიყენოს შემდეგი საკონტაქტო ინფორმაცია: ტელ: +995 32 2406 406; ელექტრონული ფოსტა: info@moneymuseum.nbg.gov.ge.

3. ამ შეთანხმების შესაბამისად, მომხმარებელთან შეთანხმებული სხვა პირისთვის მონეტის ჩაბარების შემთხვევაში, შეკვეთის მიღებასთან დაკავშირებულ პროცედურებზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომხმარებელს.

4. ეროვნულ ბანკს არ ეკისრება რაიმე სახის სხვა ვალდებულება ან პასუხისმგებლობა, მათ შორის, მომხმარებლის მიერ დაწუნებული მონეტის მიწოდების შედეგად დამდგარი პირდაპირი ან არაპირდაპირი ზიანისთვის, რაც მოიცავს მიუღებელ შემოსავალს და რეკუტაციულ ზიანს.

მუხლი 5. ფორს-მაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ეს გამოწვეული იყო ისეთი ფორსმაჟორული მდგომარეობით, რომლის დროსაც მხარეთათვის მათი შესრულება შეუძლებელი გახდა. ფორსმაჟორში იგულისხმება ომი, სტიქიური უბედურება (მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, მეწყერი), ეპიდემია, პანდემია და სხვა დაუძლეველი ვითარება. შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადები, შესაბამისად, გადაიწვეს ფორსმაჟორული გარემოებების მოქმედების ვადის მიხედვით. მხარეები პასუხისმგებლობისგან თავისუფლდებიან მხოლოდ ფორსმაჟორული გარემოების არსებობის პერიოდში. ნაკისრი ვალდებულებები დაუყოვნებლივ უნდა შესრულდეს ფორსმაჟორული გარემოებების მოქმედების შეწყვეტის შემდეგ.

მუხლი 6. მომხმარებლის ინფორმირება მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით

1. მომხმარებლისთვის ცნობილია, ამავე შეთანხმების პირობების შესრულების, კერძოდ, პირის იდენტიფიცირების, მონეტის რეალიზაციისა და მიწოდების მიზნით, ეროვნული ბანკის მიერ, მისი პერსონალური მონაცემების (მათ შორის, სახელი, გვარი, პირადი ნომერი, პასპორტის ნომერი (სხვა ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში), საკონტაქტო ინფორმაცია, მისამართი, ხელმოწერა) დამუშავების თაობაზე.
2. პერსონალური მონაცემების დამუშავების საფუძველია საქართველოს კანონმდებლობით ეროვნული ბანკისთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულება, გარიგების დადება, მომხმარებელთან დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, ასევე, მისთვის მომსახურების გაწევა. ამასთან, ინფორმაციის (მონაცემების) მიწოდების გარეშე, ვერ მოხდება მომხმარებელთან გარიგების დადება და შესაბამისად, მომხმარებლის მიერ, მონეტის შეძენა.
3. მომხმარებლის პერსონალური მონაცემები მესამე პირებს შეიძლება გადაეცეთ მხოლოდ მომხმარებლის თანხმობით ან/და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სამართლებრივი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში.
4. ამ შეთანხმებით განსაზღვრული მომხმარებლის ის პერსონალური მონაცემები, რომელიც აუცილებელია მომხმარებლის მიერ მითითებულ მისამართზე მონეტის მიტანისა და ჩაბარებისათვის, გადაეცემა გადამზიდავ (შპს „სკს“ ს/კ: 204885810, მის. ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. №25, ტელ: 291 02 20) და სადაზღვევო (სს „სადაზღვევო კომპანია „ევროინს ჯორჯია“, ს/კ: 204491344, ქ. თბილისი, ილო მოსაშვილის ქ. №24, ტელ: 220 33 33) კომპანიებს.
5. პერსონალური მონაცემები შეინახება იმ ვადით, რომელიც აუცილებელია ეროვნული ბანკის მიერ კანონმდებლობითა და ამ შეთანხმებით განსაზღვრული უფლებამოსილების განსახორციელებლად და შესაბამისი მიზნის მისაღწევად.
6. მომხმარებლის პერსონალური მონაცემები მუშავდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კანონიერად, სამართლიანად, გამჭვირვალედ და ღირსების შეუღალხავად. მომხმარებელი ინფორმირებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის III თავით გარანტირებული უფლებების შესახებ, კერძოდ, არასრული, არაზუსტი, ან/და მცდარი მონაცემების გასწორების, განახლების, შევსების, დაბლოკვის, წაშლის ან განადგურების მოთხოვნის უფლების თაობაზე. მომხმარებელს უფლება აქვს იცოდეს, ვინ და რა სახის პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს მის შესახებ, რა მიზნით და საფუძვლით. მომხმარებელს ასევე უფლება აქვს მოითხოვოს მისი მონაცემების დამუშავების შესახებ ინფორმაცია, ასევე, მონაცემებზე ყოველგვარი საფასურის გარეშე წვდომა ან უსასყიდლოდ მიიღოს ამ მონაცემების ასლები მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში წერილობით (მისამართი: ქ. თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №1) ან/და ელექტრონული ფორმით infomoneymuseum@nbg.gov.ge.
7. მომხმარებლის ზემოაღნიშნული უფლებ(ებ)ი შეიძლება შეიზღუდოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე კანონიერი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში.
8. პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით მომხმარებელს შეუძლია მიმართოს ეროვნული ბანკის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს, რომლის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.nbg.gov.ge), ხოლო პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში - პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს ან სასამართლოს, კანონმდებლობით დადგენილი წესით.